ხელოვნება

3

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

რა არის შემოქმედება? 4
ARS LONGA, VITA BREVIS 6

I მხატვრობა

ფერების სახელები 8
კომიქსი 10
ზღაპარი ფერად ლაქებზე 12
ცისარტყელა 14
კონტრაჟური 16
ფერი და განწყობა 18
რუხი 20
დღე და ღამე 24
წელიწადის დროები 26
ყვითელი 28
მხატვარი და გარემო 30
გრაფიკა 32
პლაკატი 33
შტრიხი 34
ეშერის მოზაიკური სამყარო 36
ლეონარდოს იგავი 38
თხზულება „სიზმარი“ 40

II ჟანრები

რას გვიამბობს სურათი 42
ქალაქის პეიზაჟი 44
იაპონური პეიზაჟი 46
პორტრეტი და ავტოპორტრეტი 48
ფიროსმანის პორტრეტი 50
ნატურმორტი 52
სურბარანის ნატურმორტები 54
ყოფითი ჟანრი 56
იპოვე განსხვავება 58

III დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება

გეომეტრიული ორნამენტი 60
ბერძნული ლარნაკი 62
მანდალა 64
ლურჯი სუფრა 66
ნოხი და ფარდაგი 68
ჩალის თოჯინა 70
ნეცკე 72
მატისის ზღვა 74

IV ისტორიები

პირველი მხატვრები 76
მზერა შუამდინარეთიდან 78
ინტერვიუობანა 80
ველასკესის ინფანტა 82
მატარებელი 84
ჯადოსნური სატრიალო 86
ანიმაცია 88

V პროექტი

არქიტექტურა 90

VI დღესასწაულები

შობა 92
ნაძვის ხე 94
ფაქტურა 96
ქალთა დღე 97

ცნობილ კომპოზიტორ დმიტრი შოსტაკოვიჩს უთქვამს: „შემოქმედება არ არსებობს **შთაბეჭდილებების**, აღტაცების, შთაგონების, ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე“. მხატვარი პაბლო პიკასო კი ფიქრობდა, რომ ხელოვანი შთაბეჭდილებების სკივრია, შთაბეჭდილებებს ყველა მხრიდან იღებს – ციდან, მიწიდან, ქაღალდის შრიალიდან, აბლაბუდიდანაც კი.

მაშ, რა არის შემოქმედება? საიდან ვიღებთ შთაგონებას? ამ კითხვებზე ცნობილ ხელოვანებსაც უჭირთ პასუხის გაცემა. ისინი განსხვავებულად ფიქრობენ და ხშირად კამათობენ. უნდა ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ ჩვენც. ალბათ უფროსებს უთქვამთ – ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და გაიგებო, მაგრამ იმისთვის, რომ ყველაფერი გაიგო, ფიქრი ახლავე უნდა დაიწყო. იცი, რა არის ქვეყნად ყველაზე სწრაფი? – ეს არც გეპარდია და არც სინათლე. ქვეყნად ყველაზე სწრაფი აზრია.

მაშ ასე, მოდი, დავიწყოთ ფიქრი.

?

რიგრიგობით მოირგეთ „ფიქრის ქუდი“, ისაუბრეთ და შემდეგ სხვისი აზრიც მოისმინეთ:

- როგორ მოგდის აზრი, რა დახატო ან გამოძერწო? იქნებ ლამაზი პეპელა, მუხლუხო ან ღრუბელი დაინახე და მისი დახატვა მოგინდა?
- რას გრძნობ, როდესაც გატაცებით ხატავ ან ძერწავ, სადილად გეძახიან, შენ კი საქმეს ვერ წყდები?
- არდადეგებზე ბევრ საინტერესო რამეს ნახავდი – ძველი ციხესიმაგრის ნანგრევებს, ტაძარს, მუზეუმს, ქანდაკებას, უჩვეულო ნივთს ან ნახატს. ან იქნებ ნახე ადამიანი, რომელიც ფარდაგს ქსოვდა, ლამაზი დოქი ამოჰყავდა თიხით ან ხეზე ჩუქურთმას თლიდა?
- ქვიშის კოშკები ხომ არ აგიგია? ან ნიჟარების მძივი ხომ არ აასხი? იქნებ ნაფოტის ნავზე ფოთლის აფრა დაამაგრე და მდინარეს გაატანე?
- მიხვდი, რომ ეს ყველაფერი **შემოქმედებაა**?
- ზაფხულის განმავლობაში რამ მოახდინა შენზე შთაბეჭდილება, რა მოგეწონა ან არ მოგეწონა, რით მოიხიბლე ან აღშფოთდი? რისი გაზიარება მოგინდა მეგობრებისთვის?

საშინაო დავალება

დახატე ნახატი, რომელზეც ასახავ საზაფხულო არდადეგებზე ხელოვნებასთან შეხების ამბავს – ძეგლს (არქიტექტურულს ან ქანდაკებას), რომელიც ნახე; მუზეუმში ან სპექტაკლზე თუ იყავი; ვინმე ხელოვანს თუ შეხვდი და სხვ. იქნებ შენ თავად შექმენი რაღაც საინტერესო? ნახატის საშუალებით გაუზიარე მეგობრებს შენი შთაბეჭდილებები.

ARS LONGA, VITA BREVIS



ჰიპოკრატე

ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა განთქმული ექიმი და სწავლული ჰიპოკრატე. მას უთქვამს:

„ხელოვნება მარადიულია, სიცოცხლე კი – ხანმოკლე“.

ეს გამონათქვამი ლათინურად ასე ჟღერს:

„ARS LONGA, VITA BREVIS“.

მართლაც ასეა – ხელოვანთა მიერ შექმნილი **შედევრები**: ბეთჰოვენის მუსიკა, შოთა რუსთაველის პოემა, ფიდიასის ქანდაკება თუ ფიროსმანის მხატვრობა, ადამიანებს ცხოვრებას ულამაზებს. დიდებული შემოქმედების დანატოვარი დღემდე ახსოვთ და უყვართ. ჰიპოკრატემ ნებისმიერ დარგში (მედიცინა, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა) ოსტატობა იგულისხმა, თუმცა ამ ფრაზას ხშირად მხოლოდ ხელოვნებას უკავშირებენ. ადამიანებს ოსტატის შედევრი სამუდამოდ ახსოვთ.

ყოველი ხელოვანი საქმის სიყვარულითა და თავდადებული შრომით უკვდავყოფს საკუთარ ოსტატობას.

გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში (ნახატი ფილმი, მოთხრობა, სიმღერა, მხატვრობა და სხვა) რომელი ნაწარმოები მიგაჩნიათ შედევრად?

ARS LONGA, VITA BREVIS – ამ ლათინური გამონათქვამისგან დავამზადოთ ლამაზი პლაკატი და ჩვენს საკლასო ოთახში განვათავსოთ. მისი წაკითხვისას ყოველთვის გაგვახსენდება, რომ ჩვენი შემოქმედებით სხვა ადამიანებს ვახარებთ.

სახელოსნო

- ერთი დიდი ფორმატის ქაღალდი
- თეთრი სახატავი ფურცლები
- უბრალო ფანქარი
- ფერადი ფლომასტერები
- მსხვილი შავი მარკერი
- მაკრატელი
- წებო

გაინაწილეთ ასოები, შეათანხმეთ მათი ზომა. თანაბარი ზომის დასაცავად, ფანქრით მკრთალად გაავლეთ ორი პარალელური ხაზი. ხაზებს შორის ჩახატეთ ასოების კონტურული გამოსახულებები. გააფერადეთ ასოები კონტრასტული ფერებით და მოხატეთ ისინი ორნამენტებით, შემოავლეთ მსხვილი კონტურები, გამოჭერით და დიდ ფურცელზე ააწყვეთ გამონათქვამი. გაუკეთეთ გამონათქვამს ლამაზი ჩარჩო. გპირდებით, თანასკოლელებს დიდხანს ემახსოვრებათ საკლასო ოთახის კედელზე გამოფენილი თქვენი ნამუშევარიცა და ჰიპოკრატეს ეს ფრაზაც...

ლექსიკონი

შედევრი – ხელოვანის საუკეთესო ნამუშევარი

ორნამენტი – ჩუქურთმა, დეკორატიული ნახატი, რომელიც შედგება ფორმების თანმიმდევრული განმეორებითა და მონაცვლეობით.

კონტრასტული ფერები – ფერების ბორბალზე ერთმანეთის პირისპირ განლაგებული ფერები – ლურჯი-ნარინჯისფერი; იისფერი-ყვითელი; მწვანე-წითელი

კონტური – საგნის გამოსახულების, სილუეტის გარშემომწერი ხაზი

ქარვა

მარგალიტი

ოქრა

მარჯანი

ქვანახშირი

როდესაც გვსურს, სხვადასხვა ფერის **ტონი** ან **ელფერი** დავაზუსტოთ, მას რაიმე საგნის ფერს ვადარებთ. მაგალითად, მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ სვეტიცხოვლის ტაძარზე თქვა, „ხვლიკისფერიაო“. მართლაც, ხვლიკის ტანის შეფერილობისაა ქვა, რომლითაც ეს ტაძარია აგებული. ამავე მწერლის ლექსში გვხვდება სიტყვები „ზღვისფერი გაქვს თვალები“. ამგვარად შეიქმნა ფერების ნაირნაირი სახელი: ოქროსფერი, ვერცხლისფერი, წაბლისფერი, ფირუზისფერი, ზურმუხტისფერი, ძოწისფერი, ლალისფერი, შინდისფერი, ალისფერი, იისფერი, იასამნისფერი, სპილოსძვლისფერი და ასე შემდეგ. პირიქითაც მომხდარა – მაგალითად, „ლაჟვარდისფერს“ ცაზე იმიტომ ვამბობთ, რომ სწორედ ამ ფერის ქვა მოიპოვებოდა სპარსეთის სოფელ ლაჯვარდში. მისგან საოცრად ნაზი და ჟღერადი ფერის საღებავს ამზადებდნენ.

ხშირად ფერებს არაქართულ სახელებს ეძახიან. ალბათ გაგიგონიათ „მალინისფერი“, „სერი“ და სხვა უცხო სიტყვები. ასეთი სიტყვები **ბარბარიზმებია** და მათ გამოყენებას უნდა მოვერიდოთ. მით უმეტეს, მშობლიურ ენაში ფერების უამრავი მშვენიერი სახელი გვაქვს. მაგალითად, „მალინისფერს“ ქართულად „ჟოლოსფერი“ ჰქვია, „სერი“ კი „ნაცრისფერია“ ან „რუხი“.

ბუნება ყველაზე ნიჭიერი ხელოვანია. მისი ყველა ქმნილება – მწერი თუ სპილო, ფოთოლი თუ ქვა, მშვენიერი და განუმეორებელია.

შენ წინაშეა ბუნების საოცარი ქმნილება – მინერალები. დააკვირდი მათ უჩვეულო ფორმებსა და შეფერილობას, წაიკითხე მინერალების დასახელებები. რომელი გეცნობა? რომლის სახელს ვიშველიებთ რაიმე ფერის უფრო ზუსტად აღსაწერად? ქარვა – ქარვისფერი... გააგრძელე ჩამოთვლა.

ზურმუხტი

ტყვია



გოგირდი

მალაქიტი

კროკოიტი

პირიტი

უდაბნოს ვარდი

თაბაშირი

ბროლი

ოქრო

ვერცხლი

კალციტი



აზურიტი

ფირუზი

ძოწი

ლექსიკონი

ტონი – ფერის სიმუქე ან სიღიავე

დავალება

1. ჩამოწერე სახატავ რვეულში ფერების ქართული სახელწოდებები და გვერდით ფერადი ფანქრებით, მიუხატე შესაბამისი ფერის პატარა უჯრები.
2. რვეულში ან უბის წიგნაკში ცალ-ცალკე ფურცლებზე შეადგინე გუაშის, აკვარელის, პასტელის, ფერადი ფანქრებისა და ფლომასტერების ფერების ნიმუშების ტაბულა.
3. ყოველი ფერის ნიმუშს მიაწერე მისი დასახელება.

ერთ ამბავზე შექმნილი ნახატების სერია ანუ **კომიქსი**, როგორც ხელოვნების დარგი, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. თუმცა, ადამიანები უხსოვარი დროიდან ჰყვებოდნენ ნახატებით ამბებს. პირველყოფილი ადამიანები გამოქვაბულების კედლებზე ხატავდნენ თავიანთ თავგადასავლებს. ასეთი ნახატები ძველი ხალხების ყოფასა და კულტურაზე მოგვითხრობენ. ძალიან მნიშვნელოვანი, საამაყო ამბები **რელიეფებზეც** კი არის გამოსახული.

პატარა ზომის წარწერებიანი ნახატებით ამბის გადმოცემის ტრადიცია მე-16 საუკუნის ესპანეთში გაჩნდა, როდესაც ქალაქ ბარსელონაში დაიწყეს წმინდანების ცხოვრების ამსახველი ნაბეჭდი სურათების გაყიდვა.

თანდათან რელიგიურ თემას დაემატა ცხოვრებისეულ თემაზე შექმნილი სასაცილო ნახატები, რომლებიც ყველას ძალიან მოეწონა და ეს ახალი თავშესაქცევი ევროპის სხვა ქალაქებშიც გავრცელდა.

მე-19 საუკუნეში, ფერადი ბეჭდვის გამოგონებასთან ერთად, ჟურნალ-გაზეთებში მოკლე კომიქსების გამოქვეყნება დაიწყეს. საფრანგეთში კი პოპულარული გახდა ზღაპრების დასურათება კომიქსის სახით.







თანდათან სასაცილო სურათებს სათავგადასავლო შინაარსის კომიქსები დაემატა. 1938 წელს კი გამოჩნდა „სუპერმენი“ – კეთილშობილი სუპერგმირი. ამ წლიდან დღემდე მისი გმირობების ამსახველი კომიქსები ცალკე წიგნებად იბეჭდება და ძალიან პოპულარულია.

„სუპერმენს“ მოყვა „სპაიდერმენი“ – ადამიანი-ობობა, „ბეტმენი“ – ადამიანი-ღამურა, ჰალკი, კუ ნინძები და კიდევ უამრავი გმირი, რომლებმაც ისეთი პოპულარობა მოიპოვეს, რომ მულტფილმებსა და მხატვრულ ფილმებში გადაინაცვლეს. პირიქითაც მოხდა – მაყურებლის საყვარელმა, უოლტ დისნეის ნახატი ფილმების გმირებმა ეკრანიდან კომიქსების წიგნებში გადმოინაცვლეს.

კომიქსი სასაცილოს ნიშნავს. კომიქსში შერწყმულია ხელოვნების ორი დარგი – გრაფიკა და ლიტერატურა. ეს არის ნახატებითა და მათი თანმხლები მოკლე წარწერების მეშვეობით მოთხრობილი ამბავი.

მხატვარმა რუდოლფ დერკსმა გამოიგონა „ბუშტები“ და „ღრუბლები“, რომლებშიც კომიქსების გმირების დიალოგები და ემოციისა და ხმაურის გამომხატველი ასოები იწერება.

რუდოლფ დერკსის ავტოპორტრეტი

1. ფერების ქვეყანაში ცხოვრობდა ლაქების ორი ოჯახი. ყვითლების ოჯახში ყველა ყვითელი იყო, ლურჯების ოჯახში კი ყველა ლურჯი.
2. ისინი მეგობრობდნენ და ხშირად საღამოობით ერთმანეთსაც სტუმრობდნენ. სანამ ყვითელი და ლურჯი მშობლები ჩაის მიირთმევდნენ, ყვითელი და ლურჯი შვილები ერთად თამაშობდნენ.
3. ერთხელ ყვითელმა და ლურჯმა მშობლებმა შვილები სანაპიროზე სასეირნოდ წაიყვანეს.
4. პატარა ლაქებმა ზღვაში იჭყუმპალავეს, ქვიშის კოშკები ააგეს...
5. მერე ბურთით თამაში წამოიწყეს. ყვითელმა ლურჯს ბურთი გადაუგდო.
6. ბურთი შორს გაგორდა და მეგობრები მის მოსაძებნად გაიქცნენ.
7. უცებ ცა მოიღრუბლა, ძლიერმა ქარმა დაუბერა და გარშემო ქვიშის კორიანტელი დააყენა.
8. პატარებს შეეშინდათ, ქარმა არ წაგვიღოსო და ერთმანეთს ჩაეხუტნენ.
9. რაც უფრო ძლიერად უბერავდა ქარი, მით უფრო ეხუტებოდნენ ერთმანეთს მეგობრები.
10. შეშფოთებულმა მშობლებმა შვილების ძებნა დაიწყეს. ეძებს, ეძახის ლურჯი დედ-მამა პატარა ლურჯს და ვერ პოულობს.
11. ეძებს, ეძახის ყვითელი დედ-მამა პატარა ყვითელს და ვერ პოულობს.
12. როცა ქარი ჩადგა, მშობლებმა პატარა, შეშინებული მწვანე ლაქა დაინახეს.
13. მწვანე ლაქამ ლურჯ მშობლებთან მიირბინა, მაგრამ ლურჯებმა ვერ იცნეს – ჩვენი პატარა ლურჯია, შენ კი მწვანე ხარო.
14. შემდეგ მწვანემ ყვითელ მშობლებთან მიირბინა. ვერც იმათ იცნეს საკუთარი შვილი – ჩვენი შვილი ყვითელიაო.
15. პატარა მწვანე ლაქა გულამოსკვნით ატირდა.
16. ტიროდა მწვანე ლაქა და აქეთ-იქით ლურჯ და ყვითელ ცრემლებს ღვრიდა.
17. იმდენი იტირა, იმდენი, რომ სულ მთლად დაპატარავდა და გარშემო ცრემლების ორი დიდი – ყვითელი და ლურჯი გუბე დააყენა.
18. გუბეებმა ერთმანეთს გადახედეს, გახარებულები წამოხტნენ და თავ-თავიანთი მშობლებისკენ გაიქცნენ.

სახელოსნო

- ფურცელი და საწერ-კალამი
- სახატავი რვეული
- უბრალო ფანქარი
- ფლომასტერები ან ფერადი ფანქრები

ყურადღებით წაიკითხე ზღაპარი და დახატე კომიქსი:

სახატავ რვეულში, პატარა ზომის ოთხკუთხა ჩარჩოებში, თანმიმდევრობით ჩახატე ყოველი წინადადების შესაბამისი ნახატი.
„ღრუბლებში“ ან „ბუშტებში“ ჩაწერე – რას ფიქრობენ, რას გრძნობენ, რაზე საუბრობენ, რა ხმები ესმით შენი ნახატების გმირებს.
მიაწერე ნახატებს ტექსტი.
მოიფიქრე ზღაპრის სათაური და დახატე ყდა.
აკინძე კომიქსი წიგნად.
თუ საჭიროდ ჩათვლი, მოუფიქრე ზღაპარს შენებური ფინალი, გადააკეთე, დაამოკლე ან ჩაამატე ზღაპარში შენი მოფიქრებული ეპიზოდები.



საშინაო დავალება

დახატე კომიქსი თემაზე „ერთი დღე ჩემი ცხოვრებიდან“.

1. გაიხსენე ერთი დღე შენი ცხოვრებიდან
2. ფურცელზე ჩამოწერე ამ დღის მნიშვნელოვანი მომენტები და დანომრე ისინი.
3. ნომრების მიხედვით, პატარა ჩარჩოებში ჩახატე ნახატები.
4. თუ საჭიროდ ჩათვლი, ნახატებს ქვეშ მიუწერე მოკლე განმარტებები.